



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არაბიკის კარსტული უფსკრული

არაბიკის კარსტული უფსკრული, მდვიმე აფხაზეთში, გაგრის მუნიციპალიტეტში, არაბიკის კირქველ მასივზე. ძირითადი ჩასასვლელი ორთაბალაგანის ტროგულ ხეობაშია, ზ. დ. 2240 მ სიმაღლეზე. გამომუშავებულია ზედაიურულ-ქვედაცარცული ძლიერ დამსხვრეული კირქვების წყებაში, ბერჯილის ანტიკლინის თალურ ზოლში. მდვიმის ზედა ნაწილში (550 მ სიღრმემდე) კარგად არის გამოსახული ჭები და შახტები, ქვედაში – დახრილფსკერიანი დერეფნები; აღსანიშნავია კოლბისებური ფორმის გიგანტური დარბაზი (სიმაღლე 271 მ – ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მსოფლიოში; მოცულობა 600 ათ. მ³); ეს დარბაზი ნაპრალოთა ინტენსიური თავმოყრის უბანს ემთხვევა. 700 მ სიღრმეზე არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახ. დარბაზი (მოცულობა 150 ათ. მ³). მდვიმის მნიშვნელოვანი სუბპორიზონტული მონაკვეთები 150 და 570 მ სიღრმეზე იწყება. აქვს მრავალი განშტოება; ერთ-ერთი მათგანია ე.წ. კრუბერის სახელობის უფსკრული. ინდიკატორული ცდით დადასტურდა, რომ არაბიკის მდვიმურ სისტემაში გამდინარე ნაკადი (დებიტი 20 – 50 ლ/წმ, ტემპ-რა 1,5 – 2,5°C) გამოსავალს პოულობს რეპრუასა და ცივწყალას (ძველი გაგრა) ვოკლუზურ წყაროებში. იგი ერთ-ერთი უღრმესი კარსტული ჰიდროსისტემაა მსოფლიოში. მდვიმის ბოლო წერტილი (1110 მ) ნაზვავით არის ამოქოლილი, რ-შიც იფილტრება მიწისქვეშა ნაკადული.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., ჩ ა ნ გ ა შ ვ ი ლ ი გ., ო ქ რ ო ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა., არაბიკას კირქველი მასივის კარსტულ-სპელეოლოგიური თავისებურებანი, კრ.: საქართველოს გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1965; К л и м ч у კ ა. ბ., Р о г о ж н и კ о ვ ვ. я., О влиянии позднечетвертичных оледенений на развитие карста массива Арабика, «Известия Всесоюзного географического общества», 1984, т. 116, в. 2.

